



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31222491

თარიღი:06/09/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N13

ქ. ლანჩხუთი

29. 08. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ორი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი მამუკა ვადაჭკორია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს

აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ოდაქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

5. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი მამუკა ვადაჭკორია/

6. სხვადასხვა საკითხები

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამულ ცვლილებასთან დაკავშირებით. საქმე ეხება ერთ ბენეფიციარს, რაზეც მუნიციპალიტეტის მერთან და მის მოადგილესთან შეხვედრაზეც შეთანხმდნენ, მაგრამ დღევანდელი სხდომის დღის წესრიგის პროექტში აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული არ არის. ამასთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ მიმართულებით დაწყებულია სამუშაო პროცესი.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დამატებით გამოეყო 2050000 ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს შემდეგ პროექტებზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მუხუთიდან გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაციაზე 1300000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 68422 ლარი, სულ მიმდინარე წელს პროექტზე მიიმართება 1368422 ლარი; ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის საძირკვლის გამაგრებაზე 254000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 400160 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 654160 ლარი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოთის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, მუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 496000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 239465 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 735465 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაფინანსებულ პროექტებზე ტენდერის შედეგების გათვალისწინებით გზების რეაბილიტაციის (ხიდი აკეთი) დაფინანსება შემცირდეს 3399 ლარით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდეს 2681 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა შემცირდეს 16455 ლარით.

საქართველოს მთავრობის 26 იანვრის N131 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 100000 ლარი, რომელიც მიიმართება სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციაზე. აღნიშნული განკარგულებით გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმართული 40465 ლარი შემცირდეს და მიიმართოს სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაზე.

სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაციაზე მიიმართოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 13672 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15058 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 28730 ლარი. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განმარტების გათვალისწინებით, ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 3000 ლარით; ხოლო კულტურის ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის 1210 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის სხვა ხარჯების მუხლი 1210 ლარით და ტრანსპორტის ხარჯი გაიზარდოს 500 ლარით.

კულტურის ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 4800 ლარით.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მომართვის საფუძველზე გაიზარდოს დაფინანსება 15000 ლარით.

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა- შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯების (საწვავ-საპოხი მასალები ფასების ზრდის გათვალისწინებით) დაფინანსება გაიზარდოს 78400 ლარით, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება 35000 ლარით, მერიის დაფინანსება 40000 ლარით, სამხედრო სამსახურის დაფინანსება 3400 ლარით.

გარე განათების ქსელის გაფართოების გათვალისწინებით გაიზარდოს მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის დაფინანსება 100000 ლარით.

ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის დონის გათვალისწინებით შემოსავალი მომსახურების გაწევიდან შემცირდეს 30795 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართული თანხები და მიმდინარე ხარჯების ზრდის დაბალანსება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების 770600 ლარით და ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლების 185000 ლარით ზრდის ხარჯზე და შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 30795 ლარით შემცირების ხარჯზე.

აღნიშნული ღონისძიებების ასახვა უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ კოკათში ძალიან დაზიანებულია გზა, რის გამოც მოსახლეობა ფაქტობრივად, მოწყვეტილია გარე სამყაროს. მათი გათვლებით, გზის მოსაწესრიგებლად საჭიროა თანხა, დაახლოებით 31000 ლარის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, შემოვიდა წინადადებით, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება, რათა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ არასოდეს არც ერთ პროექტსა თუ პროგრამაში არ არის ნახსენები სოფელი ჭანჭათი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა მარიამობის დღესასწაული, რის შემდეგ აღნიშნა, რომ სტიქიის პროგრამის ფარგლებში გზის გარკვეული მონაკვეთი გაკეთდა, რადგან სოფელ ჭანჭათის რამდენიმე უბანში მართლაც სერიოზული პრობლემაა. იმედოვნებენ, რომ პროექტს, რომლის განხორციელებასაც იწყებენ, მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ახალ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შუხუთიდან სოფელ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაციას, დაახლოებით 4916000 ლარის ფარგლებში გამოცხადებულია ტენდერი. ასევე, შემდგომი პროექტი განხორციელდება ორი მიმართულებით - სოფელ გაგურიდან ზომღეთის საზღვრამდე და გაგურის ცენტრიდან ნავომარის ხიდამდე. ჭანჭათში ცენტრალურ გზასთან შედარებით უფრო სერიოზული პრობლემებია რამდენიმე შიდა უბანზე, სადაც გზების მოხრეშვით სამუშაოებს აზრი არ აქვს. შესაბამისად, ბეტონის საფარის გასაკეთებელი რესურსის არ ქონის გამო ამ ეტაპისთვის სამუშაოები შეჩერებულია. მართალია, რამდენიმე უბანზე გაკეთდა ბეტონის საფარი, მაგრამ დარჩენილია 2-3 უბანი, სადაც ფაქტობრივად, შეუძლებელია მოძრაობა, მაგრამ აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით, რათა როგორმე მოხდეს სტიქიის პროგრამაში მისი ჩასმა.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების დაახლოებით 50 %-მდე თანადაფინანსების საშუალება აქვს. აქედან გამომდინარე, საკრებულოს, ფრაქციის და კომისიის სხდომებზე არაერთხელ დააყენა საკითხი ბაკურში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა, იმისთვის, რომ სახლში მიიტანოს ალებული მოსავალი, კუთვნილ საყანე ფართობებში აბამის მუნიციპალიტეტის მხრიდან შედის, რისთვისაც უწევს 50 კილომეტრი გზის გავლა. ამის გამო, ქალაქის საკუთრებაში არსებული 3000 ჰა. სახნავ-სათესი ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილია დამუშავებული. ამის შემდეგ, მან ისაუბრა მუნიციპალიტეტში ჩატარებული კონკურსის შესახებ, სადაც მონაწილეობდა ორი ახალგაზრდული ჯგუფი. ერთი პროექტი შეეხებოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფასადის და მიმდებარედ გურული მხედრების მოედნის კეთილმოწყობას, ხოლო მეორე-თავისუფლების ქუჩაზე ახალგაზრდული ცენტრის გაკეთებას. გამარჯვებული პროექტის გამოვლენის შემდეგ გავიდა საკმაოდ პერიოდი, მაგრამ მისი განხორციელების კუთხით დღემდე არანაირი სამუშაო არაა დაწყებული.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** კონკურსთან მიმართებაში განმარტა, რომ მომზადებულია 100000 ლარის ღირებულების პროექტი, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი და მიმდინარე წლის ბოლომდე ათვისებული იქნება ის თანხა, რაც ამ პროექტითაა გათვალისწინებული. მისი თქმით, გამოყოფილი დღგ-ს გადასახადი, ფიზიკურად არ იყო საკმარისი გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მათ შორის, კორპუსის საძირკვლის გასამაგრებლად და შიდა გზების მოსაწესრიგებლად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დამატებით გამოეყო 2050000 ლარი, ხოლო 900000 ლარამდე გამოიყო დღგ-ან. გარდა ამისა, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში რფგ-დან იგეგმება 300000-350000 ლარამდე დამატება. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ბაკურში მისასვლელ გზასთან დაკავშირებით, ნამდვილად სერიოზული პრობლემაა. საკრებულოს საფინანსო და სხვა კომისიის წევრებთან ერთად შეთანხმდნენ, რომ დაიწყონ ბაკურის გზის მოწესრიგება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** ჭანჭათის თემასთან დაკავშირებით დაეთანხმა კოლეგას და მიმართა მუნიციპალიტეტი მერს, რომ თუ შესაძლებელია, გაკეთდეს პროექტი ჭანჭათის ცენტრის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ცენტრის

კეთილმოწყობასთან დაკავშირებით პროექტი აქვთ. ამასთან, პროექტში იწერება „აკეთი“ და არა „ჭანჭათი“. რის გამოც კონკრეტულად ჭანჭათი არ არის ხოლმე ნახსენები.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** პირველ რიგში დარბაზში მყოფთ მიულოცა მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული, რის შემდეგ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ წარმოდგენილ საკითხს მხარს უჭერს, მაგრამ პროექტის მიხედვით, რამდენიმე ათასი ლარია გამოყოფილი გზების მოხრეშვითი სამუშაოებისთვის. რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ აქ არ იგულისხმება მოხრეშვითი სამუშაოები. ყველა გზა მნიშვნელოვანია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარია ცენტრალურ გზაზე. 4916000 ლარზე გამოცხადდა ტენდერი, საიდანაც ათვისების მიხედვით, მიმდინარე წელს ჩაიდო დაახლოებით 1300000 ლარი, მეორე მიმართულებასაა ის, რომ სოფლის შიდა გზების მოწესრიგებასთან დაკავშირებით 3000000 ლარზე გამოცხადდა ტენდერი, რაც იქნება გარდამავალი პროექტი, მაგრამ ათვისება მიმდინარე წელს გაწერილია 735 465 ლარი. ეს არის უკვე დაპროექტებული გზები, მათ შორის უნაგირას უბანში დაახლოებით ერთ კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტება. მუნიციპალიტეტს აქვს გარკვეული ლიმიტი, რომლის ფარგლებში ხორციელდება ეს პროექტები. თუკი მოხდება დამატებითი თანხის გამოყოფა, როგორც გასულ და მიმდინარე წლებში, ამის მიხედვით მომზადდება ახალი პროექტები. რაც შეეხება ხიდმაღალას თემას, მისი მხრიდან იყო დაპირება სანიაღვრე არხების კეთილმოწყობის თაობაზე ცენტრალურ გზამდე, სადაც პრობლემაა. საუბარი იყო ერთ მხარეს დაახლოებით 250 მეტრ სიგრძის მონაკვეთზე, მაგრამ ანალოგიურად, გაკეთდება მეორე მხარესაც. საერთო ჯამში, ინფორმაცია მიწოდებულია 500 მეტრი მონაკვეთის მოწესრიგების შესახებ. პროექტი მომზადებულია და ელოდებიან დაფინანსებას, რათა სტიქიის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს მოხდეს მისი განხორციელება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, როგორ შეიძლება ტექნიკური თვალსაზრისით, გამოცხადებული ტენდერებიდან თუკი იქნა გარკვეული ეკონომია, ათვისებული იქნას მიმდინარე წელს, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ტენდერი გამოცხადებულია თერთმეტ სოფელთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არის გარდამავალი პროექტი. რაც შეეხება აკეთს, იქნება გარკვეული ეკონომია, რადგან გასულ წელს გაგურის მიმართულებით დაიგო დაახლოებით ერთი კილომეტრი სიგრძის გზა, რომელიც ამ პროექტშიც არის შესული, რადგან იგი მანამდე იყო შედგენილი. შესაბამისად, საუბარია, რომ ამის ხარჯზე ერთი კილომეტრი სიგრძის გზა გაკეთდეს ქვემო აკეთის მიმართულებით. გარდა ამისა, თუ აკეთთან დაკავშირებით რაიმე ეკონომია იქნება, იგი სრულად მოხმარდება სოფელს.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, აუცილებლად იქნას გათვალისწინებული ხომერვიკის ქუჩის მოწესრიგება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ჭანჭათის ორ უბანში მძიმე სიტუაციაა, რომლის მოგვარება მოხდება სტიქიის პროგრამის ფარგლებში. მას აინტერესებს, ანალოგიური ხედვა თუ არის ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზებთან დაკავშირებით, კერძოდ: ჭყონაგორაში ორი მიმართულებით, ჩოლობარგში და ჯაპანაში-ბერიძეების უბანში, რადგან ამ გზებზე კატასტროფული მდგომარეობაა და ფაქტობრივად, გადაადგილება შეუძლებელია.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ჭანჭათის ორი უბანი და ჩოლობარგი ძველი სტიქიის თემაა და შესაბამისად, ინფორმაცია მიწოდებულია, რაც შეეხება კონკრეტულ სიტუაციას, ეს არის ბოლო სტიქიის შედეგად. პირადად იმყოფებოდა მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად ადგილზე და გაეცნო შექმნილ მდგომარეობას. თუკი მერიაში ინფორმაცია დროულადაა გადმოცემული, აუცილებლად მოხდება გათვალისწინება, რადგან ამ კუთხით აქტიურად მიმდინარეობს სამუშაო პროცესები. როგორც კი იქნება თანხმობა და დაფინანსება, შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდება პროექტები. მაგრამ საქმე ისაა, რომ სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სიმძიმის მიხედვით ხდება თანხების გადაანაწილება. აქედან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობენ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, რათა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მოხდეს იმ დამატებითი თანხების გამოყოფა, რომელიც ესაჭიროება მუნიციპალიტეტს გადაუდებელი პრობლემების მოსაგვარებლად.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, რა ფაზაშია ხიდების და მილნიდების დაპროექტება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ამ კუთხით მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები

და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N33 (29.08.2022)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა (კანცელარიის N 10/302220115-30; 20.07.2022 წელი) ა(ა)იპ „ოდა ქეარი“-ს (ს/კ 437373156) დირექტორმა ვერა წულაძემ, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა -ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე (N8 - 47,00 კვ.მ; N9 - 51,90კვ.მ; N10 - 12,23 კვმ; N11 - 16,03 კვ.მ. N12 - 18,92 კვ.მ; N13 - 12,21 კვ.მ; N14- 13,36 კვ.მ; N15 - 5,50 კვ.მ N16 - 6,71 კვ.მ. N17 - 13,05 კვ.მ; N26- 18,25 კვ.მ და N27 - 26,59 კვ.მ. საერთო ფართით 241,75 კვ.მ.) ფართის გამოყოფა ორგანიზაციის ფუნქციების და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად (ა(ა)იპ „ოდა ქეარი“ არსებობს 2019 წლიდან. მისი მიზნები და ამოცანებია: 1. მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ადვოკატირება, ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო ინიცირება. 2. შშმ ბავშვთა უფლებების დაცვა. 3. საზოგადოების ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და განვითარება, საზოგადოებაში სწორი, ღირებულებებზე დაფუძნებული იდეალების დამკვიდრების ხელშეწყობა. 4. ორგანიზაციის სერვისებით უზრუნველყოფა: შშმ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი, გონებრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. 5. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და განათლება ადამიანის უფლებების სფეროში. 6. კვლევების, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება. 7. საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელება. 8. შშმ მშობლების, მეურვეებისა და ოჯახების სხვა წევრების უფლებების დაცვა, მხარდამჭერი პროგრამების ინიცირება და განხორციელება.)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 241,75 კვ.მ ფართი.

საკრებულოს წევრის, **ირმა მგელაძის** განცხადებით, ითანამშრომლეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან და სხვა შენობებიც დაათვალიერებინეს, მათ შორის მონადირეთა კავშირის ყოფილი შენობა, რომელიც არ მოეწონათ, რადგან სპეციფიკიდან, გამომდინარე, ესაჭიროებათ პირველი სართული. მიუხედავად ამისა, საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მონადირეთა კავშირის ყოფილი შენობა არის ავარიული და გადაქცეულია ნაგვის ბუდედ, მაშინ როცა იგი მუნიციპალური საკუთრებაა. შესაბამისად, უნდა ხდებოდეს მისი მოვლა-პატრონობა. ანალოგიურ მდგომარეობაშია ყოფილი ტუბ-დისპანსერის და სხვა მიმდებარე შენობებიც.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N48 (29.08.2022).**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის

შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ**, მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა მოქალაქე კონსტანტინე გუმბარიძემ (26001004991), რომელმაც კომერციული მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.15.52.294) პირველ სართულზე მდებარე N1 ოთახი - 25,7 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ მოქალაქე კონსტანტინე გუმბარიძეს, 5 წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. აღნიშნულმა სამსახურმა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის

უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის დაანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 7080.35 ლარიდან განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელიც შეადგენს 354 ლარს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N49 (29.08.2022)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ**, მან აღნიშნა, საუბარია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ქვ. ჩიბათში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის შესახებ, რომელიც ხანძრის შედეგად დაიწვა. გარკვეულმა პიროვნებებმა გამოთქვეს დაინტერესება, რათა შესაბამისი ფასის ფარგლებში შეიძინონ აღნიშნული ობიექტი და განახორციელონ მილიონი ლარის ინვესტიცია.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი გოგუაძის** განცხადებით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ფრაქციის სხდომაზეც გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აუქციონი, რომელიც გაიმართა ორჯერ და წარმოდგენილი ობიექტებიდან არც ერთი არ გაიყიდა, ბადაბს გარკვეული ეჭვს, რადგან შეიძლება ვინმეს ინტერესიდან გამომდინარე, ქონება გაიყიდოს მაშინ, როცა ფასი დაიწვეს ქვემოთ. მისი აზრით, ჯობია აუქციონის იმ პრინციპის მიხედვით ჩაჭარბება, როგორც ეს ხდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. კერძოდ, კონკრეტული მყიდველის მიერ მუნიციპალურ ქონების შეიძინასთან დაკავშირებით განცხადებით მომართვის შემთხვევაში, უნდა აიჭვიროთო მგალა რეგულირება და დოკუმენტაცია და ქონება გაიყიდოს პირობიანი აუქციონის მეშვეობით. გარდა ამისა, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებულია აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ერთ-ერთი ობიექტი, რასთან დაკავშირებითაც საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ მუნიციპალიტეტის მერს მიმართა წინადადებით, რომ იქნებ მუნიციპალიტეტში გამოინახოს თანხა და რადგან აცანის სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, შესაბამისად, მოეწყოს აღნიშნულ შენობაში. მან ასევე აღნიშნა, რომ არ მიაჩნია მართებულად შუამდობისთვის პოლიციის ყოფილი შენობის პირველი სართულის გადაცემა, რადგან იგი საცხოვრებლად უვარგისია.

მუნიციპალიტეტის მერი შეეხო ა(ა)იპ „ოდა-ქეარისთვის“ აღნიშნული ფართის გადაცემის საკითხს და განმარტა, რომ თავად არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იქნა ეს შენობა მოწონებული და მათი წინადადების საფუძველზე მოხდა მისი გადაცემა. რაც შეეხება მუნიციპალურ ქონებას, კონკრეტულ ქუჩაზე მხოლოდ მონადირეთა კავშირის ყოფილი

შენობაა მუნიციპალიტეტის საკუთრება, რომელიც შეტანილი იყო სააუქციონო სიაში. გარდა ამისა, ეთანხმება იმას, რომ აუქციონი უნდა გაგრძელდეს იმ ფასით, რაც იყო შემოტანილი. ფასის დაკლებასთან დაკავშირებით, საუბარი იყო მხოლოდ ჩიბათში მდებარე ობიექტთან მიმართებაში, რადგან მასთან დაკავშირებით ოფიციალურად ჩამოსული იყო ინვესტორი და შემოიტანა კონკრეტული პროექტი. აღნიშნული ობიექტის მდგომარეობის გათვალისწინებით არ მოხდა დაწესებული ფასის გადახდა. აქედან გამომდინარე, მუშაობის შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება, კონკრეტულ ობიექტზე მომხდარიყო ფასის დაკლება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა ამორტიზებული შენობების საკითხით. მისი თქმით, შეისწავლეს ასეთი ობიექტები, რომლის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს იმ შენობების დემონტაჟი, რომლებიც აღარ ექვემდებარება ექსპლუატაციას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე ამ კატეგორიის მუნიციპალურ ქონებას აქვს არარეალური ფასი, რის გამოც არ იყიდება. დროთა განმავლობაში კი უფრო ნადგურდებიან და გარკვეული პერიოდის შემდეგ დაკლებულ ფასადაც ვეღარ მოხდება მათი გასხვისება. აქ საუბარია სოფლებში არსებულ შენობა-ნაგებობებზე, რადგან ქალაქის ტერიტორიაზე სხვა სპეციფიკაა. მისთვის მისაღებია, თუკი ვინმე პატრონი გამოჩნდება, რომელიც ამ ტერიტორიებს მოაწესრიგებს და მსგავსი შენობა-ნაგებობებისგან გაწმენდს, რაზეც დაეთანხმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე**, რომლის თქმით, მუნიციპალიტეტს უფლება რომ ჰქონდეს, სიმბოლურ ფასადაც კი უნდა გადასცეს ასეთი ქონება.

მუნიციპალიტეტის მერმა უსახურ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოხდა მათი აღწერა. ასევე მოხდა ქონებების გამიჯვნა სახელმწიფოს და მუნიციპალური საკუთრების მიხედვით. გარდა ამისა, განისაზღვრა მიმართულებები, თუ რომელი ექვემდებარება რეაბილიტაციას, რომელი დემონტაჟს და ა. შ. ზოგადად, სახელმწიფოს მიდგომაა, მოხდეს ტერიტორიების გასუფთავება ისეთი ობიექტებისგან, რომელთა გამოყენება სამომავლოდ არ მოხდება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი. მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N50 (29.08.2022)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიში სხდომას გააცნო მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საკრებულოს ინფორმირებულობის თვალსაზრისით, წარმოდგენილია 2022 წლის 21 მარტს მომზადებული შიდა აუდიტორული ანგარიში (შესაბამისობის აუდიტი), რომელიც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების ბიუჯეტებითა და წესდებით გათვალისწინებულ და განხორციელებულ საქმიანობას. მასში ძირითადად წარმოდგენილია რეკომენდაციები აღმოჩენილ ცდომილებებთან და დარღვევებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გარკვეული პერიოდის შემდეგ მოხდება იმის შემოწმება, თუ როგორ ხორციელდება გაცემული რეკომენდაციების შესრულება. მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის განმარტებით, შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი გარემოებები მიუთითებენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“ -ში დამკვიდრებულ კონტროლის სისტემებში არსებულ გარკვეულ ხარვეზებზე და გამომდინარე აქედან, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებები, რათა მოხდეს ხარვეზების აღმოფხვრა და არსებული შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს როგორც ფინანსების

მართვის სფეროს გაუმჯობესებას, ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ წინაშე არსებული გამოწვევების კვალდაკვალ წამოჭრილი ამოცანების და მიზნების სრულყოფილად შესრულებას.

საკრებულოს წევრების მიერ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორულ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს მიერ მიღებული ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი გოგუაძის** განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეკითხვა წარმოდგენილ საკითხს არ ეხება, მისი დაინტერესება გამოიწვია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წლის მომზადებულმა აუდიტის ანგარიშმა, სადაც დაფიქსირებულია, რომ მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2017-2018 წლების საქმიანობამ ჯეროვნად ვერ უზრუნველყო მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესება. მისი დაინტერესება ასევე გამოიწვია იმ რეკომენდაციების შესრულებამ, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს მომზადებულ აუდიტის ანგარიშშია ასახული და გაცემულია მერიასა და საკრებულოსთან მიმართებაში. საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე ასევე დაინტერესდა, აკონტროლებს თუ არა მერიის შესაბამისი სამსახური რეკომენდაციების შესრულებას. პარალელურად, თუ აწვდის ამის შესახებ პასუხს სახელმწიფო აუდიტს ან თუ შემოაქვთ საკითხი საკრებულოში, რადგან სახელმწიფო აუდიტი ითხოვს მის განხილვას საკრებულოს სხდომაზე, რაზედაც მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებში ასახული რეკომენდაციების შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა ხდება მერიის არა რომელიმე ერთი კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის მიერ არამედ, კომპლექსურად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან სისტემატური კომუნიკაციის მეშვეობით, მთლიანი აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელობით, სადაც ჩართულია სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში ასახული მიმართულებების შესაბამისად, ფუნქციური დანიშნულების მქონე მერიის სტრუქტურული ერთეულები.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მოქალაქემ ნინო ლომაძემ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა განცხადებით სხდომაზე სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით.

მოქალაქემ **ნინო ლომაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის მაისის თვეში მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდნენ შუამდგომლობით, რათა განეხილათ და დახმარება აღმოეჩინათ მცირე მეწარმეებისთვის: სოფელ შუხუთში მცხოვრები, 1945 წელს დაბადებული მარინა ორაგველიძის და სოფელ ლესის მკვიდრ, 1953 წელს დაბადებული, ციალა ლომაძისთვის. ორთავე მათგანს იჯარით აქვთ აღებული ფართი. ქვეყანაში კოვიდით შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ეს პიროვნებები ვერ ახერხებდნენ პროფესიულ საქმიანობას. გარდა ამისა, კანონით აკრძალული იყო კოსმეტოლოგიურ-სალონური კაბინეტების და სამკერვალო ატელიეების და სხვა მსგავსი საწარმოების ფუნქციონირება. ასევე, აკრძალული იყო 70 წელს გადაცილებული პირების არა თუ მუშაობა, არამედ ქუჩაში გამოსვლაც. ამასთან, რაც მთავარია, ეს ადამიანები არ ფლობდნენ ინფორმაციას კანონის შესახებ, რადგან ამის თაობაზე არ ყოფილა გამოქვეყნებული ადგილობრივ მედიაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მარინა ორაგველიძემ და ციალა ლომაძემ პანდემიის პერიოდში ვერ შეძლეს იჯარის ყოველთვიური გადასახადის გადახდა. მით უმეტეს, რომ თითოეულმა მათგანმა ორჯერ გადაიტანა კორონა ვირუსი. ამასთან, უახლოეს პერიოდში მარინა ორაგველიძემ გაიკეთა ურთულესი ქირურგიული ოპერაცია და კიდევ გასაკეთებელი აქვს ორი ოპერაცია. ნინო ლომაძის ინფორმაციით, დედაქალაქში ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით ინდ. მეწარმეები გათავისუფლებულები იქნენ აღნიშნული გადასახადისგან. გაუგებარია, რატომ არ გავრცელდა ანალოგიური შეღავათი რეგიონებში, რადგან მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გაცემული პასუხის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 163⁴ მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს მიეცათ უფლება 2021 წლის 1 ოქტომბრამდე, მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, საკრებულოს თანხმობით მიეღო

გადაწყვეტილება ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობის შემსუბუქების თაობაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია იყო, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობა ან მისი შესრულების შეფერხება განპირობებული იყო უშუალოდ ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიის ან/და პანდემიის გამო დადგენილი მარეგულირებელი ნორმებით.

მუნიციპალიტეტის მერმა მიმართა ნინო ლომაძეს, რომ მერიის მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ გაცვამთ წერილობით პასუხი. არ დავობენ, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მოქალაქეები არ ფლობდნენ გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ პანდემიის პერიოდში დაგროვილი დავალიანებების გარდა მათ აქვთ სხვა ვალდებულებებიც, რომელთა დაფარვის შემთხვევაში, შესაბამისად ჩაითვლება, რომ არიან კეთილსინდისიერი გადამხდელები, რის შემდეგაც საკრებულოში იმსჯელებენ და კომპეტენციიდან გამომდინარე, უფლებამოსილების ფარგლებში მიიღებენ გარკვეულ გადაწყვეტილებას. მით უმეტეს, რომ მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზად არის ინდ. მეწარმეებს ხელი შეუწყოს საქმიანობის განხორციელებაში.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და მარინა ორაგველიძეს შორის ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა #126-ში 13 კვ.მ. ფართის იჯარით გადმოცემის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 11 ივნისს. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 422,60 ლარს. საიჯარო ქირის გაფორმებიდან დღემდე რიცხული დავალიანება შეადგენს 881,65 ლარს. მათ შორის, ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის დაწყებამდე მარინა ორაგველიძეზე რიცხული დავალიანება შეადგენდა 106,54 ლარს. ანალოგიურად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ციალა ლომაძეს შორის ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა #126-ში 13 კვ.მ. ფართის იჯარით გადმოცემის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 11 ივნისს. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 426.85 ლარს. საიჯარო ქირის გაფორმებიდან დღემდე რიცხული დავალიანება შეადგენს 834.70 ლარს. მათ შორის, ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის დაწყებამდე ციალა ლომაძეზე რიცხული დავალიანება შეადგენდა 97.30 ლარს.

გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ მოქალაქეებს მუნიციპალიტეტისთვის დასაბუთებული განცხადებით არ მოუმართავთ 2021 წლის 1 ოქტომბრამდე, მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა შესაძლებლობა განესაზღვრა ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული შეფერხების სახე და ზომა, რასაც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ზემოთ აღნიშნული მუხლი. ამასთან, ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც მოქალაქეებს მომართვიანობის შემთხვევაში შეიძლებოდა შეხებოდა, არის დათქმა ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობის შემსუბუქების თაობაზე, მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ. ასევე უნდა აღინიშნოს ის, რომ გადაუხდელობის მიუხედავად, ამ ადამიანებს პირგასამტეხლო არ დარიცხვიათ. აქედან გამომდინარე, ისინი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას არ ექვემდებარებიან. შესაბამისად, მოქალაქეებს დარჩენილი აქვთ ძირითადი ვალდებულებები, რასთან დაკავშირებითაც საკრებულო ვერ იმსჯელებდა. ყოველივე ზემოთქმული მოქალაქეებს ოფიციალურად განემარტათ. ამასთან, როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, საქმე არ ეხება მხოლოდ პანდემიის დროინდელ დავალიანებებს, არამედ წინა წლის შვიდი თვის ვალდებულებაც დასაფარია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თუკი შეიძლება რაიმე ღონისძიებაზე საუბარი, ეს უნდა იყოს კეთილსინდისიერი გადამხდელობიდან გამომდინარე, რა ფაქტიც ამ შემთხვევაში სახეზე არ არის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი კეთილსინდისიერი გადამხდელობიდან გამომდინარე, ამ მოქალაქეებს არ ექნებოდათ პანდემიამდე დავალიანებები, ამ შემთხვევაში იურიდიულად რა მექანიზმი გააჩნია მუნიციპალიტეტს გააუქმოს გადასახადები, რაზეც მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ძირითადი გადასახადებისგან გათავისუფლებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ხოლო საურავები ამ მოქალაქეებს დარიცხული არ აქვთ. მეორე მხრივ, დაინტერესებული პირი როდესაც არის მოიჯარე და იჯარით აღებულ ფართს ვერ იყენებს, ამ შემთხვევაში უნდა მომართოს განცხადებით იმის თაობაზე, რომ ვერ მუშაობს.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** მიმართა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტს თუ გააჩნია იმის იურიდიული უფლება, რათა წერილობით მიმართოს შემოსავლების

სამსახურს ან მოქალაქეებთან მიმართებაში გაკეთდეს გრაფიკი, თუნდაც ხუთი წლის ვადით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ პანდემიამდე დავალიანებასთან დაკავშირებით, გაკეთდეს გრაფიკი, ხოლო პანდემიის პერიოდის ვალდებულებების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქეებისთვის თავის დროზე არ იქნა მიწოდებული ინფორმაცია, საკრებულომ მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მჭვიდლობაძემ** აღნიშნა, რომ გაკეთდა და გალამაზდა ცენტრალური სკვერი, სადაც ასევე, ბავშვებისთვის მოეწყო სხვადასხვა უფასო გასართობი ატრაქციონები, მაგრამ ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ატრაქციონით სარგებლობენ ასაკით გაცილებით უფროსი მოზარდები, ვიდრე ეს არის გათვლილი, რის გამოც ისინი ზიანდებიან. ამასთან, პატარა ბავშვები ვერ ახერხებენ გართობას და თამაშს. ასეთი შემთხვევების გათვალისწინებით, მას მიზანშეწონილად მიაჩნია დაინიშნოს მეთვალყურე, რომელიც ყურადღებას მიაქცევს და გააკონტროლებს ატრაქციონებს და ზოგადად, სკვერს, რათა არ დაიშალოს და არ განადგურდეს იქ მოწყობილი ინფრასტრუქტურა.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, შესაბამისი სამსახურის მიერ სკვერში გამოყოფილია მეთვალყურე, რომელიც პასუხისმგებლობის მიუხედავად, ფიზიკურად ვერ გააკონტროლებს ამა თუ იმ სიტუაციას, რადგან ეს უფრო საზოგადოებრივი პრობლემაა. მაგრამ რაც შეეხება უშუალოდ სკვერს, მას აქვს გარკვეული შენიშვნები, რომელთა შესახებ ისაუბრა მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელთან. ერთ-ერთი არის ის, რომ მდინარაძის ქუჩაზე დარჩა პატარა ჩიხი, რომლის ათვისების შედეგად შეიძლება დამატებით სკვერის მოწყობა. რაც შეეხება კონკრეტულ სიტუაციას, ეს თემა მსჯელობის საგანია და არ არის გამორიცხული მოხდეს გარკვეული გასართობი ატრაქციონის იჯარით გაცემა. გარდა ამისა, შესაბამის სამსახურთან ჰქონდა საუბარი დამატებით ოთხი ვიდეოკამერის შექმნასთან დაკავშირებით, რომლებიც დამონტაჟდება სკვერში, რის შედეგადაც გარკვეული პრობლემები მოიხსნება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ **ლოლიტა ურუშაძემ** გამოთქვა მოსაზრება, ატრაქციონებზე დაწესდეს სიმბოლური გადასახადი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** თქმით, ასევე მოსაწესრიგებელია საპირფარეშო და მიმდებარე ქუჩის ტროტუარი.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ვოგუაძემ** აღნიშნა, რომ სკვერში მოწყობილ ინფრასტრუქტურას მოვლა-პატრონობის მიზნით უნდა მიეცეს გარკვეული ქონების სახე. ასევე, მისთვის საინტერესოა იმის ცოდნა, მოხდება თუ არა სკვერში მდებარე ობიექტის იჯარით გაცემა, სადაც სავარაუდოდ, კაფე მოეწყობა,

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებით, მერიის შესაბამის სამსახურს მიეცა მითითება, მოხდეს მისი მუნიციპალურ ქონებაში დარეგისტრირება, რის შემდეგაც მოხდება გარკვეული პირობებით აუქციონზე გატანა, რაც მუნიციპალიტეტს მოუტანს შემოსავალს. სკვერში ასევე მოწესრიგდა სველი წერტილი, რომლის გასხვისებასთან დაკავშირებით დაიწყება მუშაობა. რაც შეეხება მოწყობილ ინფრასტრუქტურას და ატრაქციონებს, ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტი ფიზიკურად ვერანაირად ვერ მოუვლის, ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ მათ გამოუჩინდეს მეპატრონე, რომელიც შეინახავს და მოუვლის, რის სანაცვლოდაც სავარაუდოდ, გარკვეულ გადასახადს დააწესებს, რაც მოსახლეობისთვის შექმნის გარკვეულ უხერხულობას, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში, სკვერში მოწყობილი ინფრასტრუქტურა და ატრაქციონები ძალიან მალე გაფუჭდება და განადგურდება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სავალალო მდგომარეობაშია როგორც ჯაპანის, ქვიანის და ნიგოთის, ასევე ლანჩხუთისა და სუფსის რკინიგზის სადგურის შენობები. იმ ობიექტებთან დაკავშირებით, რომელიც ეკუთვნის რკინიგზის დეპარტამენტს, ინფორმაცია მიწოდებულია, მაგრამ გარკვეული ზომებია მისაღები იმ შენობებთან მიმართებაში, რომელიც ირიცხება მუნიციპალურ ბალანსზე. ამასთან

დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ კონკრეტული ობიექტების მოწესრიგების თაობაზე მიმართეს რკინიგზის დეპარტამენტს, მაგრამ არის ისეთი სადგურები, რომელიც მუნიციპალური საკუთრებაა და მათი მოვლა-პატრონობის კუთხით გარკვეული პრობლემებია, რადგან იქ ფაქტობრივად, მატარებელი არ ჩერდება. ამიტომ, მიზანშეწონილად მიაჩნიათ მოხდეს ასეთი ობიექტების რკინიგზის დეპარტამენტისთვის გადაცემა, რომელიც შემდგომ საჭიროებიდან გამომდინარე, მათთან მიმართებაში მიღებს შესაბამის ზომებს.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამულ ცვლილებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს და საკითხზე შეთანხმდნენ, მაგრამ ირკვევა, რომ ამ კუთხით არანაირი წარმოება არ დაწყებულა. გარდა ამისა აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ადგილზე მიიღოს ბიკარბონატულ ჰემოდიალევთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება. ასევე, როგორც საკრებულოს წევრისთვის გახდა ცნობილი, საუბარია ინფექციური განყოფილების გახსნის თაობაზე. მისი მოსაზრებით, აქტიურად უნდა ითანამშრომლონ ამ საკითხთან დაკავშირებით რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელთან, რათა ლანჩხუთის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის შენობაში მოეწყოს ისეთი სერვისი, რასაც აქამდე მუნიციპალიტეტში ვერ იღებდნენ. ამის შემდეგ საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ შინდისში დაღუპული გმირის ემზარ წილოსანის ოჯახს, სწორედ 11 აგვისტოს, შინდისიდან დაბრუნებულებს, ელექტრომომარაგების ხაზი კომპანიის მიერ დახვდათ ჩაჭრილი. მისი აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს ასეთ ოჯახების სახლებთან შესაბამისი მანიშნებლის მოწყობა.

მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წევრის მიერ დასმულ პირველ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აუცილებლად მოიკითხავს ამის თაობაზე, რადგან უნდა დაწყებულიყო ადმინისტრაციული წარმოება. რაც შეეხება კომპანიის მიერ ელექტრომიწოდების ხაზის ჩაჭრას, როგორც კი ინფორმაცია იქნა მიღებული, მყისიერად მივიდა ადგილზე მაჟორიტარი დეპუტატი. ოჯახს, საჭიროებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი აუცილებლად გაუწევს ფინანსურ თუ სხვა სახის დახმარებას. რაც შეეხება, რაიმე აღმნიშვნელი ნიშნის მოწყობას, იმუშავებენ ამ თემაზე. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ ადგილზე იყო ჩამოსული რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი და მიიღეს გადაწყვეტილება ბიკარბონატული ჰემოდიალევთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე საუბარი იყო სამშობიაროს და სხვა საკითხების შესახებ, მაგრამ აღნიშნულ საავადმყოფოს კიდევ აქვს პრობლემები, რადგან „ადითსა“ და სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს დავა. გარკვეული კომუნიკაცია რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელთან აქვთ და საბოლოო მონახაზი რაღაც თემებთან მიმართებაში გაკეთებულია, მაგრამ ეს ყველაფერი დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსებთან და სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბრისთვის ბოლოსთვის ამ კუთხით გახდება ცნობილი. არის მოლოდინი, რომ საავადმყოფოს პირველი სართული კეთილმოეწყობა და ალბათ, განთავსდება ყველა ის აუცილებელი სერვისი, რაც მუნიციპალიტეტს ესაჭიროება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს გლესს ფაქტობრივად, მოსავალი არ ექნება. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ მიმართონ შესაბამის უწყებებს ამ მიმართულებით ფინანსური ან რაიმე დახმარების გაწევის თხოვნით.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ამ მიმართულებით გარკვეული სოფლები უნდა აღიწეროს. ინფორმაცია შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მხრიდან მიწოდებულია სახელმწიფოს ყველა დონეზე. ამის შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაგომართან დამაკავშირებელი ხიდის თემაზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აკეთთან მიმართებაში გამოიყო 17000 ლარი, რომელიც მიიმართა ამ ხიდის რეაბილიტაციაზე. მიმდინარე წლის 23 აგვისტოს კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება. მათ მეორე დღესვე დაიწყეს მუშაობა. დააგეს ფილები, რომელზეც შემდეგ უნდა გაკეთებულიყო ბეტონის საფარი. მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენლები ავიდნენ ადგილზე და ნახეს, რომ ფილები იყო უხარისხო, რაზეც კომპანიის თანამშრომლებს მიეცათ სათანადო შენიშვნა. მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ფილებს ვერ მიიღებდნენ და მოითხოვეს მათი შეცვლა. იმ დღეს არ მოხდა აღნიშნული ფილების აღება, საღამოს კი გაიარა ავტომობილმა და ხიდი ჩაინგრა. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რადგან ამ ფაქტთან დაკავშირებით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** ასევე აღნიშნა, რომ კომპანიამ გააკეთა ალტერნატიული გზა, რომლითაც უნდა ესარგებლა მოსახლეობას, მაგრამ ავტომობილმა გაიარა დაუსრულებელ ხიდზე.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ფრაქციის „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სახელით დააყენა შემდეგი ინიციატივები, რომელთა გათვალისწინება უნდა მოხდეს მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. კერძოდ: სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, უნაგირას უბანში სანიაღვრე არხების და წყლის პრობლემის მოწესრიგება; ხიდმალალაზე, კობა კალანდაძის ქუჩაზე გზის მოწესრიგება; ტაბანათის უბანზე ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათების ნათურების შეცვლა; გრიგოლეთში სასტუმრო „ლაშთათან“ მიმდებარე ტერიტორიის მოთხროლი ხეებისგან გაწმენდა-გასუფთავება; გრიგოლეთში გოჩა ოინაროვის სახლის მიმდებარედ, სანიაღვრე არხის მოწესრიგება; მოსახლეობისთვის ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მოსავლის ზარალის კომპენსაციის საკითხი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ გარე განათების ნათურებთან დაკავშირებით ირაკლი ჩხაიძეს რეგულარულად უკავშირდებიან და ხდება ნათურების გამოცვლა. კონკრეტული ფაქტის შესახებაც მიწოდებულია ინფორმაცია და შესაბამისად, უახლოეს პერიოდში მოხდება პრობლემის მოგვარება. სოციალურ ქსელში ასეთ საკითხზე როცა იწერება, ფიზიკურად ვერ მოხდება ერთ საათში მისი გამოსწორება. შესაბამისი სამსახური ძალიან კარგად მუშაობს და მსგავსი პრობლემების გამოსწორება ხდება მყისიერად. რაც შეეხება ხიდმალალას თემას, საკითხი გადაამოწმეს მერის წარმომადგენელთან და გაირკვა, რომ განცხადება შეეხებოდა არა მოსავალტებას, არამედ საუბარი იყო იყო სანიაღვრე არხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერმაც გააკეთა შესაბამისი განმარტება. უნაგირას უბნის შერჩევა კი იმიტომ მოხდა, რომ რამდენიმე თვის წინ განცხადებით მომართა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რის შემდეგ ადგილზე მოხდა შემოწმება და ნამდვილად გაუსაძლისი მდგომარეობაა შექმნილი. სწორედ ამიტომ არის ჩასმული უნაგირას უბნის ამ მონაკვეთის მოსავალტება. გარდა ამისა, ძლიერმა ქარმა ახალსოფელში მასიურად დააზიანა საყანე ფართობები, რის შესახებაც მოსახლეობის მიერ დაიწერა კოლექტიური განცხადება. ასევე, ხიდმალალაზე დააზიანა სასათბურე მეურნეობა, რასთან დაკავშირებითაც ასევე მოხდება განცხადებით მომართვა. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, გაუწიოს დახმარება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, გაფორმდა თუ არა საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით ხელშეკრულება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ინვესტორის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საგარანტიო წერილი, შესაბამისად, არ მოხდა ხელშეკრულების ხელმოწერა. საგარანტიოს წარმოდგენის შემთხვევაში მოხდება მისი გაფორმება, თუ არადა, ჩაიშლება აუქციონი, ხოლო გადახდილი თანხა - 37000 ლარი დარჩება მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ დაჭრილია და დასაწყობებულია რკინის ხიდი, რომელიც დაფარულია ეკალბარდით, რის გამოც გადაქცეულია ქვეწარმავლების და ნაგვის ბუდე. კარგი იქნება, მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართოს რკინიგზის დეპარტამენტს, რათა გაირკვეს, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენს აღნიშნული ქონება.

საკრებულოს წევრმა **გივი ცინცაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჩოლობარში სამკითხველო ქონი უკვე გადმოეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში. ის დაინტერესდა, რა ხდება მის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ შესაბამისი სამინისტროსგან გადმოეცათ ქონ-სამკითხველო საკუთრებაში, რასთან დაკავშირებით მომზადდება შესაბამისი პროექტი, რის შემდეგაც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად სავარაუდოდ, საჭირო იქნება თანხა 25000 ლარის ფარგლებში.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 აგვისტო 2022 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:45	
2	ემზარ თევდორაძე	11:55	
3	ვერიკო კვიციანი	—	
4	გიორგი ჩახვაძე	11:45	
5	გიორგი ხელაძე	11:45	
6	ალექსანდრე მახათაძე	11:00	
7	ზაზა წულაძე	11:00	
8	კარლო კვიციანი	შვებულება	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:58	
10	ია მოქია	11:00	
11	კახაბერ ასკურავა	შვებულება	
12	მაკა მშვიდლობაძე	შვებულება	
13	ვლადიმერ ნანაძე		
14	კარლო წილოსანი	12:00	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:50	
16	ნინო მშვიდლობაძე	11:50	
17	გოგი მორჩილაძე	11:55	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11:45	
19	გიორგი გოგუაძე	11:00	
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩილაძე		
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11:50	მ. მუხრან
25	ირმა მგელაძე	11:45	მ. მუხრან
26	გივი ცინცაძე	11:50	მ. მუხრან
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11:35	მ. მუხრან